ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 2924145001**
თარიღი:**24/05/2024**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო/კერძო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეების სასწავლო ექსკურსიის დაფინანსების შესახებ პროგრამა

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის ,,ბ,, ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მეორე ნაწილის და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილების შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო/კერძო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეების სასწავლო ექსკურსიის დაფინანსების 2024 წლის პროგრამა თანდართული სახით.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5 . განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო/კერძო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეების სასწავლო - ექსკურსიის დაფინანსების შესახებ 2024 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულება.

1. **პროგრამის სახელწოდება :** თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო/კერძო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეების სასწავლო-ექსკურსიის დაფინანსების შესახებ პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 24 მაისი 2024 წელი- 31 დეკემბერი 2024 წელი;

3. პროგრამის ბიუჯეტი : 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარი;

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზნები და ამოცანა

სასწავლო ექსკურსიის მიზანი:

ზოგადი განათლების სფეროში მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით, ასევე აუცილებელი ცოდნით აღჭურვა და მათში კულტურულ ფასეულობათა პატივისცემის გრძნობის გაღვივება;

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო/კერძო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეები;

მუხლი 4 .საჭირო დოკუმენტაცია

1. პროგრამის სარგებლობისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენია საჯარო/კერძო სკოლის დირექტორის მომართვა ექსკურსიის დაფინანსების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს დირექტორის ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

2. პროგრამით სარგებლობა საჯარო/კერძო სკოლას შეეძლებათ წელიწადში ერთჯერადად;

მუხლი 5. დაფინანსების ოდენობა და წესი

1. ტრანსპორტირების მიზნით ამ პროგრამის ფარგლებში თითოეული სასწავლო ექსკურსია დაფინანსდება 650 ლარით;

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ დირექტორის მომართვას განიხილავს და ორგანიზებას (კონტროლს) უწევს ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი